დანართი

მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესი

პარტიას, რომელსაც არ გააჩნია რეგისტრაცია ცესკოში, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უსკოს უნდა წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 3000 მხარდამჭერთა ხელმოწერა.

კანდიდატის მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობას განკარგულებით ადგენს უსკო, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისი მუხლით დადგენილი ნორმის თანახმად, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის პროცენტული მაჩვენებლის საფუძველზე.

მხარდამჭერთა სიები უსკოში/საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენისთანავე ილუქება პარტიის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც დასტურდება, როგორც უსკოს შესაბამისი დეპარტამენტის/საოლქო საარჩევნო კომისიის თანამშრომლის, ისე პარტიის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ ლუქზე ხელმოწერების დატანებით.

მხარდამჭერთა სიების შემოწმების დროს უსკოს შესაბამისი დეპარტამენტი/საოლქო საარჩევნო კომისიის თანამშრომელი პარტიის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს ლუქის მთლიანობას და ხსნის ლუქს, რის შემდგომაც, უსკოს შესაბამისი, დეპარტამენტი/საოლქო საარჩევნო კომისიის თანამშრომლის მიერ თანმიმდევრობით მოწმდება მხარდამჭერთა ხელმოწერები შემდეგი წესით:

1. მხარდამჭერთა ხელმოწერები შესრულებული უნდა იყოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ განკარგულებით დამტკიცებული ნიმუშის ბლანკზე.

1.1. კომისიაში, მხარდამჭერთა სიების დაუდგენელი ნიმუშის ბლანკზე წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული ხელმოწერები ხელმოწერათა საერთო რაოდენობაში არ ჩაითვლება და არ დაექვემდებარება შემოწმების პროცედურებს.

1.2. ბლანკის მე-2 გრაფაში სრულად უნდა იყოს მითითებული მხარდამჭერის სახელი და გვარი, (ჯერ სახელი და შემდეგ გვარი) ბათილია ხელმოწერა, თუ მითითებულია მხარდამჭერი ამომრჩევლის:

ა) მხოლოდ სახელი;

ბ) მხოლოდ გვარი;

გ) გვარი და მხოლოდ სახელის ინიციალი;

დ) სახელი და მხოლოდ გვარის ინიციალი;

ე) მხოლოდ ინიციალები.

1.3. ბლანკის მე-3 გრაფაში სრულად უნდა იყოს მითითებული დაბადების რიცხვი, თვე (აღინიშნება ორნიშნა რიცხვით) და წელი (აღინიშნება ოთხნიშნა რიცხვით). (მაგ: 29.02.2001).

1.4. ბლანკის მე-4 გრაფაში სრულად უნდა იყოს მითითებული საქართველოს მოქალაქის პირადი 11-ნიშნა ნომერი.

1.5. ბლანკის მე-5 გრაფაში სრულად უნდა იყოს მითითებული მისამართი, (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს ბაზის მიხედვით):

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მფლობელთა შემთხვევაში, მისამართი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომელიც მითითებულია შესაბამისი პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში;

ბ) მოქალაქის პირადობის მოწმობის/საქართველოს მოქალაქის პასპორტის მფლობელთა შემთხვევაში (რომელშიც არ არის მითითებული მისამართი)- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ (შემდგომში - „სააგენტო“) მონაცემთა ბაზის შესაბამისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

1.6. ბლანკის მე-6 გრაფაში სრულად უნდა იყოს მითითებული ხელმოწერის თარიღი (მაგ.21.03.2016.), რომელიც უნდა ემთხვეოდეს პარტიის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ ბლანკის გატანისა და შემოტანის თარიღებს შორის პერიოდს. ბლანკის გატანის თარიღი დაფიქსირებულია და დამოწმებულია პარტიის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის ხელმოწერით ნიმუშზე, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება უსკოს შესაბამის დეპარტამენტში/საოლქო საარჩევნო კომისიაში.

1.7. ბლანკის მე-7 გრაფაში უნდა იყოს ამომრჩევლის ხელმოწერა.

1.8. უსკოს შესაბამისი დეპარტამენტი/საოლქო საარჩევნო კომისიის თანამშრომელი უფლებამოსილია შერჩევითობის პრინციპით მხარდამჭერთა მონაცემები გადაამოწმოს ამომრჩეველთა ერთიან ბაზაში. (ამომჩეველთა ერთიან სიაში).

1.9. უსკოს შესაბამისი დეპარტამენტის/საოლქო საარჩევნო კომისიის თანამშრომელი ვალდებულია ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმებისას, მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული მონაცემების გარდა, დამატებით გადაამოწმოს ამომრჩეველთა ერთიან ბაზაში:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა რეგისტრაციის ფაქტი;

ბ) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შემთხვევაში შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მხარდამჭერ ამომრჩეველთა რეგისტრაციის ფაქტი;

1.10. იმ შემთხვევაში, თუ მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული არ არის, ან არასრულად ან არასწორადაა მითითებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ამომრჩევლის რომელიმე მონაცემი, აღნიშნული სტრიქონი გადაიხაზება და ხელმოწერა ბათილად ჩაითვლება, ხოლო ბლანკზე მიეთითება დარჩენილ ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა.

1.11. ბლანკზე „ხელმოწერის შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი“, სრულად უნდა იყოს მითითებული: სახელი, გვარი, (ჯერ სახელი და შემდეგ გვარი) მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით); საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ხელმოწერა, ბლანკის შევსების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), რომელიც უნდა ემთხვეოდეს/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ ბლანკის გატანისა და შემოტანის თარიღებს შორის პერიოდს.

1.12. ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის რომელიმე მონაცემის შეუვსებლობის ან არასრულად შევსების შემთხვევაში, აღნიშნულ ბლანკზე შესრულებული ხელმოწერები მთლიანად ბათილდება, გადაეხაზება ჯვარედინი ხაზი და ზედ დაეწერება „0“.

2. ყველა აღნიშნული ქმედების შემდეგ, უნდა დაითვალოს შემოწმების შედეგად დარჩენილი ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა და შედგეს აქტი.

3. თუ გაბათილებული ხელმოწერების გათვალისწინებით, მხარდამჭერთა დარჩენილი ხელმოწერების რაოდენობა შეესაბამება დადგენილ ოდენობას, უსკოს შესაბამისი დეპარტამენტი/საოლქო საარჩევნო კომისია ამზადებს დასკვნას პარტიის/საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობის თაობაზე.

4. თუ გაბათილებული ხელმოწერების გათვალისწინებით, მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა კანონით დადგენილ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, დგება აქტი, პარტიის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს უბრუნდება მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი და 2 (ორი) დღე ეძლევა ხარვეზის შესავსებად.

5. კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილი შესწორებული/დადგენილ ოდენობამდე შესავსებად აუცილებელი ხელმოწერები კვლავ მოწმდება ზემოთ აღნიშნული წესით. ბლანკზე მითითებული ხელმოწერის თარიღი უნდა ემთხვეოდეს მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიების შესწორების შედეგად გაბათილებული ნაწილის გადაცემისა და შესწორებული სიების შემოტანის თარიღს შორის პერიოდს.

6. თუ შემოწმების შემდეგ, მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა შეესაბამება დადგენილ ოდენობას, უსკოს შესაბამისი დეპარტამენტი/საოლქო საარჩევნო კომისიის თანამშრომელი ამზადებს დასკვნას პარტიის/კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობის თაობაზე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - დასკვნას კანონთან შეუსაბამობის თაობაზე.